

## სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

### ცენტრის საკოორდინაციო საბჭოსთან შეხვედრის ოქმი N2

#### 14 სექტემბერი 2021 წელი

მიმდინარე წლის 14 სექტემბერს გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საკოორდინაციო საბჭოს მეორე შეხვედრა. ქვეყანაში არსებული პანდემიის გათვალისწინებით აღნიშნული შეხვედრა პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით ონლაინ რეჟიმში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ - საკოორდინაციო საბჭოს წევრები, ცენტრის დირექტორი თამარ მახარაშვილი, დირექტორის მოადგილეები ლაშა მარგიშვილი და კახაბერ ერაძე და ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს შემდეგი წევრები:

- ა) **რუსუდან სანაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარე;
- ბ) **ჰელი მატისენი** - ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (EKKA) დირექტორი;
- გ) **კაი ეტზოლდი** - უმაღლესი განათლების სფეროს საერთაშორისო ექსპერტი;
- დ) **შალვა მეკრავიშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის "ეროვნული სასწავლო გეგმა დანერგვა და მონიტორინგი" პროგრამის "ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება ქვეპროგრამის" ფარგლებში სამოქალაქო განათლების ექსპერტი;
- ვ) **თეა გულუა** - გაეროს განვითარების პროგრამის განათლების მენეჯმენტისა და ინოვაციების სპეციალისტი, პროფესიული განათლების ექსპერტი;
- ზ) **მაკა აბულაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის წარმომადგენელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი;
- თ) **კახაბერ ჭელიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ი) **ირმა ქურდაძე** - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- კ) **ნათია ჯოჯუა** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრას არ ესწრებოდნენ:

- ა) **ზაზა ფურცელაძე** - ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში.

ბ) **მაია შუხოშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების სამმართველოს უფროსი;

გ) **ანასტასია ქიტიაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა დაიწყო 12:00 საათზე და დასრულდა 13:06-ზე. საბჭოს სხდომა უზრუნველყოფილი იყო სინქრონული თარგმანით.

**საბჭოს შეხვედრის დღის წესრიგი:**

12:00 - 12:05 მისალმება - თამარ მახარაშვილი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;

12:05 - 12:20 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გავრცელების სფერო - გიორგი გვასალია, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი;

12:25 - 13:00 „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების პროექტი - ლაშა მარგიშვილი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

13:00 კითხვა-პასუხი.

დღის წესრიგის შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გახსნა ცენტრის დირექტორმა, თამარ მახარაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა საბჭოს თითოეულ წევრს შეხვედრაში მონაწილეობისთვის, შემდეგ კი მოკლედ მიმოიხილა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაზეც მიმდინარეობს ცენტრში მუშაობა, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლის პროცესები. ასევე, ყურადღება გაამახვილა ახალ საკითხებზე, რომელზეც ცენტრი იწყებს მუშაობას და პროცესების ფარგლებში არსებულ გამოწვევებზე, რომელიც ერთობლივი მუშაობით არის დაძლევადი. ცენტრის დირექტორმა დამატებით, ხაზი გაუსვა, რომ საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი ორივე საკითხი და საბჭოს წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია ცენტრისთვის.

ცენტრის დირექტორის მისალმების შემდეგ, დღის წესრიგის მიხედვით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გავრცელების სფეროს შესახებ პრეზენტაცია წარადგინა ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერმა, გიორგი გვასალიამ. მან პრეზენტაციის დასაწყისში აღნიშნა, რომ ცენტრის ფუნქციაში ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დანერგვა ეფუძნება მთავრობის 2014 წლის 29 აპრილის N312 დადგენილებას, სადაც განსაზღვრულია კრიტიკული ინფორმაციული ნუსხა და ამ ნუსხაში 35-ე ერთეულად განსაზღვრულია ცენტრი. რაც ნიშნავს, იმას, რომ ცენტრს გააჩნია ინფორმაციული უსაფრთხოების კანონის აღსრულების ვალდებულება. კერძოდ, ეს კანონი ითვალისწინებს ISO 27001 საერთაშორისო სტანდარტის ბაზას და გულისხმობს *ბიზნესწარმადობის უზრუნველყოფას*. საუბარია იმაზე, რომ თუ რომელიმე ორგანიზაცია ფლობს პერსონალურ ინფორმაციას, რომლის დამუშავების ეტაპზე

დაირღვა მთლიანობა, ან გავრცელდა რაიმე სახის ინფორმაცია, ან არ მიეწოდა ეს პერსონალური მონაცემები შესაბამის უწყებებს, ეს საბოლოო ჯამში წარმოადგენს პრობლემას. ამ პრინციპებიდან გამომდინარე იმსჯელეს და დაადგინეს, რომ ცენტრი ნამდვილად ფლობს იმ ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო დონეზე და მნიშვნელოვანია უსაფრთხოებისთვის.

პრეზენტატორის მიერ მოკლედ იქნა განმარტებული ISO 27001 ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვა. აქვე აღნიშნა, რომ ცენტრის მენეჯმენტთან საკითხის გავლის შემდეგ დადგინდა, რომ ცენტრისთვის ყველა ბიზნესპროცესი არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი, ყველა ბიზნესპროცესი მოიცავს პერსონალურ და კრიტიკულ ინფორმაციას და არის ერთმანეთთან კავშირში. ამ საკითხების იდენტიფიცირების შემდეგ, ცენტრს აქვს ვალდებულება, რომ ბიზნესპროცესის ნუსხა შეათანხმოს პროცესის მაკოორდინირებელ ორგანოსთან, ციფრული მმართველობის სააგენტოსთან, რომელიც არის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ამის შემდეგ, გიორგი გვასალიამ საბჭოს წევრებს წარუდგინა ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გავრცელების სფეროს დოკუმენტი, რომელიც გადაგზავნილია ციფრული მმართველობის სააგენტოსთან. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ზოგად დებულებას და მიზანს, მასში წარმოდგენილია ორგანიზაციული მოწყობა, ის ბიზნესპროცესები, რომელიც არის კრიტიკული ინფორმაციის მატარებელი და ინფორმაციული უსაფრთხოების გავრცელების სფერო. ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერმა ასევე აღნიშნა, რომ დოკუმენტში მოცემულია გავრცელების სფეროს დასაბუთება და მნიშვნელოვანია, გავრცელების სფეროს შედგენისთვის განისაზღვროს რა ტიპის აქტივები არსებობს ორგანიზაციაში. აქტივში მოიაზრება ნებისმიერი რამ, რაც ღირებულია ორგანიზაციისთვის, ეს შეიძლება იყოს - ინფორმაციული აქტივი, პროგრამული უზრუნველყოფა, ტექნიკა, მომსახურება, ადამიანი და მისი ცოდნა და ა.შ. გავრცელების სფეროში ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ კონტროლდება აქტივები. მაგალითად, შეიძლება ორგანიზაციის მიზნები შეიცვალოს, ან სტრუქტურა შეიცვალოს, ამისთვის არის ჩანაწერი კანონში, რომლის საფუძვლადაც ყოველი წლის ბოლოს ცენტრის მენეჯმენტი გადახედავს ბიზნესპროცესებს და საჭიროების შემთხვევაში მოახდენს მის კორექტირებას.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმი.

საბჭოს თავმჯდომარემ, რუსუდან სანაძემ დასვა ორი კითხვა, პირველი კითხვა ეხებოდა სენსიტიური ინფორმაციის განმარტებას, თუ როგორ იქნება დარეგულირებული დროსთან მიმართებით სენსიტიურობა და კონფიდენციალურობა. მეორე კითხვა კი ეხებოდა ადამიანური რესურსის ჭრილში რა ზომები იქნებოდა მიღებული, ან როგორ იქნებოდა დარეგულირებული ინფორმაციის გადინების თავიდან არიდება. პასუხად, პირველ კითხვაზე გიორგი გვასალიამ განმარტა, რომ ინფორმაციის ყველა ეტაპზე ხდება კლასიფიცირება და თუ ორგანიზაციისთვის ინფორმაცია წარმოადგენს კრიტიკულ დონეს, ეს არ ნიშნავს, რომ მომავალ წელსაც იგივე დონე შენარჩუნდება ამ კონკრეტული ინფორმაციისთვის. შესაბამისად, ინფორმაციის კრიტიკულობა დგინდება პერიოდულობით. აუცილებელია პერიოდულობით გადაიხედოს კრიტიკულობის მაჩვენებელი და მიენიჭოს შესაბამისი დონე. მეორე კითხვის საპასუხოდ აღნიშნა, რომ ადამიანი არის ყველაზე ღირებული აქტივი ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის, შესაბამისად, ინფორმაციის გადინების ყველაზე დიდი

წყარო არის ადამიანური რესურსის ცნობიერების არარსებობა ან ნაკლებობა. ამისთვის გამოსავალი არის მუდმივი ტრენინგები, გადამზადება, სიმულაციები. ეს არის რასაც სტანდარტი სთავაზობს ორგანიზაციებს. მაგალითად მოყვანილ იქნა ცენტრში ბოლო პერიოდში განხორციელებული ე.წ „ფიშინგის“ სიმულაცია, რამაც კარგად წარმოაჩინა, რამდენად არის ცენტრი მზად კონკრეტული კრიტიკული სიტუაციისთვის. ცენტრის დირექტორმა დისკუსიის ბოლოს დაამატა, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს და აღნიშნა, რომ შესაბამისმა მაკოორდინირებელმა ორგანომ ცენტრის ბიზნესპროცესების გადახედვის შემდეგ ჩათვალა, რომ ისინი თანაბრად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ცენტრს წინ ელის კიდევ უფრო მასშტაბური და დიდი სამუშაო ამ მიმართულებით.

მომდევნო პრეზენტაცია, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების პროექტის შესახებ წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ.

ლაშა მარგიშვილმა დასაწყისში აღნიშნა, რომ ცვლილებები, რომელსაც პრეზენტაციით წარმოადგენს უკვე განხილულია დაინტერესებულ მხარეებთან, გავლილია სამინისტროსთან, მიღებულია უკუკავშირები და საბოლოო სახითაა ჩამოყალიბებული. მან ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის შემოდგომის ბოლოს საკოორდინაციო საბჭოს დეტალურად წარედგინება ცვლილებების პაკეტი აკრედიტაციის განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების თაობაზე. .

პრეზენტაციის პირველი ნაწილი დაეთმო ცვლილებებს, რომელიც ეხებოდა 2022 წლიდან კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლას. აღნიშნა, რომ ცენტრს სურს, აკრედიტაცია ყველა სახისა და საფეხურის პროგრამისთვის გახდეს სავალდებულო. ასევე, მიმოხილულ იქნა მედიცინის პროგრამებთან დაკავშირებით დამატებითი რეგულაციის შემოტანა, რომელიც გულისხმობს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. შესაბამისად, ცენტრს სურს, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიენიჭოს ამის უფლებამოსილება. ახალი სისტემაზე გადასვლა ბუნებრივია იწვევს საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის მიმდინარე ვადების ახლებურად გააზრებას.

პრეზენტაციის შემდგომ ეტაპზე წარდგენილ იქნა ის ძირითადი თემები, რაზეც მიმდინარე წელს მუშაობს ცენტრი უმაღლესი განათლების მიმართულებით, მათ შორისაა - კლასტერული აკრედიტაციის სტანდარტების და პროცედურების პროექტების შემუშავება, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად დამატებითი კრიტერიუმების შემუშავება, კლასტერული აკრედიტაციის პილოტირება 9 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამაზე; შემუშავდა ხუთი დარგობრივი მახასიათებელი ჰუმანიტარული სფეროსთვის. ასევე შეიქმნა მედიცინის მიმართულებით დარგობრივი საბჭო, შემუშავდა დოკუმენტის პროექტი, რომელიც სრულადაა შესაბამისობაში WFME-ს ახალ სტანდარტებთან. ექსპერტთა განვითარების მიმართულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ გამოცხადდა ახალი კონკურსები, დაიწყო ატესტაციის პროცესი.

კლასტერული აკრედიტაციის მიმართულებით, კანონით განისაზღვრება კლასტერული აკრედიტაციის ცნება. ამ მიმართულებით აღინიშნა, რომ გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო პარტნიორების რეკომენდაციები, მათ შორის, საკოორდინაციო საბჭოს წევრების კაი ეტზოლდის და ჰელი მატისენის რეკომენდაციები. ერთადერთი რაც

მოგვიანებით აისახა ამ პროცესში იყო ის, რომ ცენტრი თავდაპირველად მოიაზრებდა კლასტერში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, მოგვიანებით კი გადაწყდა, რომ სადოქტორო პროგრამები ცალკე გამოყოფილიყო, რადგან დამატებითი მოთხოვნები და კრიტერიუმები ჩნდებოდა სადოქტორო პროგრამების შემუშავებისთვის, ასევე განსხვავებული პროცედურების შესაბამისად იქნება აღნიშნული პროგრამების შეფასებული, რაც მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა დოქტორანტურის პროგრამის შეფასების პროცესში გახდება სავალდებულო. აკრედიტაციის ვადებთან მიმართებით იქნება ცვლილებები განხორციელებული. კერძოდ, კლასტერზე გადასვლისას ყველა პროგრამას მიენიჭება შვიდწლიანი აკრედიტაცია, ნაცვლად ოთხი წლისა. ასევე, გაიზარდა პირობითი აკრედიტაციის ვადა და ორწლიანი ვადის ნაცვლად იქნება სამწლიანი.

ასევე, წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, აკრედიტაციის ვადების განსაზღვრა მოხდება მთავრობის ან მინისტრის აქტით, სადაც დეტალურად იქნება განმარტებული რომელი სფეროს პროგრამებს როდის გასდის აკრედიტაციის ვადები. ვადები გაიწერება 2022-2028 წლებზე. ცენტრის პოზიციას, რომ თუ კი პროგრამას ორ წელზე მეტი ვადით უმცირდება აკრედიტაცია მას უნდა გაეზარდოს აკრედიტაციის ვადა.

ამასთან, წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, აკრედიტაცია იქნება სავალდებულო ყველა პროგრამისთვის. ცენტრის სურვილია, რომ ყველა პროგრამა იყოს აკრედიტებული. პროგრამების აკრედიტაციის სავალდებულოობა ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის ამაღლებას. აქვე, ავტორიზებულ პროგრამებს უნარჩუნდებთ ვალიდურობა და დაწესებულებებს ექნებათ უფლება განახორციელონ პროგრამები, სანამ ამ პროგრამების კლასტერს მოუწევს აკრედიტაცია.

მედიცინის პროგრამების მიმართულებით კი ცენტრს სურს, რომ უფრო მეტად იყოს რესურსები შეფასებადი, განსაკუთრებით კი თანაფარდობები სტუდენტებსა და პროფესურას შორის, სტუდენტებსა და პაციენტებს შორის კლინიკური სწავლებისას. ამიტომ, დაწესებულებას აკრედიტაციის საბჭომ უნდა განუსაზღვროს საერთო რაოდენობის ფარგლებში სტუდენტების ზღვრული რაოდენობა. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ რაციონალურად იქნება დათვლილი მედიცინის პროგრამებზე რამდენი გამტარუნარიანობა აქვს დაწესებულებას ერთი პროგრამის ფარგლებში. აქ მხედველობაში იქნება მისაღები ყველანაირი რესურსი, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია.

სადოქტორო პროგრამების, რეგულირებად პროგრამებზე და იმ პროგრამებზე რომლებიც ხორციელდება ერთ, ან ორ დაწესებულებაში ცენტრი უზრუნველყოფის საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობას. აქვე, განიმარტა, რომ ის პროგრამები, რომლებიც ხორციელდება ერთ, ან ორ დაწესებულებაში შეირჩა იმ მიზნით, რომ რთულია დარგობრივი ექსპერტის შერჩევა, რომელსაც არ აქვს განმახორციელებელ ინსტიტუციასთან ინტერესთა კონფლიქტი. ამიტომ, საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა მნიშვნელოვანია, ობიექტური სურათის დანახვისთვის.

ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ აკრედიტაცია ხდება სავალდებულო ავტორიზაციის მე-3 სტანდარტი გადაიხედება და პროგრამის შეფასების შინაარსობრივი ნაწილი გამოვა ამ სტანდარტიდან. დამატებით, ხელოვნების სფეროში იგეგმება დარგობრივი მახასიათებლებზე მუშაობის დაწყება, რადგან 2023 წლიდან მოუწევთ კლასტერული აკრედიტაციის გავლა.

განხორციელდება საკონსულტაციო შეხვედრები, განმავითარებელი ღონისძიებები იქნება შეთავაზებული ცენტრის მიერ დაწესებულებებისთვის, უზრუნველყოფილი იქნება აქტიური თანამშრომლობა.

პრეზენტაციის ბოლო ნაწილი დაეთმო სადოქტორო პროგრამების ხარისხის განვითარების მიმართულებით განხორციელებულ ასპექტებს, მათ შორის პროგრამის მიზნებს, შედეგებს, სადოქტორო პროგრამებზე დაშვებას, პროგრამის შინაარსს, პერსონალს, სამეცნიერო ხელმძღვანელებს, სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისებსა და ხარისხის უზრუნველყოფას.

პრეზენტაციების დასრულების შემდეგ წარიმართა კითხვა-პასუხი. პირველი გამომსვლელი იყო საბჭოს წევრი, ირმა ქურდაძე, რომელმაც აღნიშნა განხორციელებული ცვლილებების მნიშვნელობა და განსაკუთრებით გამოყო სადოქტორო პროგრამების მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებები და იკითხა ერთობლივ სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით დაგეგმილი იყო თუ არა ცვლილებები, რაზეც დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა, უპასუხა რომ ამ მიმართულებით ხელშეკრულების გაფორმების ნაწილში ცენტრს აქვს მოსაზრება, რომ გამიჯნოს მოთხოვნები, კერძოდ როგორი უნდა იყოს და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო ერთობლივი პროგრამა, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო პარტნიორთან ერთად და რას უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამა, რომელიც ხორციელდება ადგილობრივი დაწესებულებების მიერ. რაც შეეხება სტანდარტს, აქ არ იქნება განსხვავება, მიზანი, შედეგი შინაარსი და რესურსები იქნება ყველასთვის ერთიანი.

დისკუსიაში ჩაერთო საკოორდინაციო საბჭოს წევრი შალვა მეკრავიშვილი, რომელმაც ცვლილების პროექტთან დაკავშირებით მცირედი შესწორება შეიტანა და დაზუსტების მიზნით აღნიშნა, რომ აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ნაწილში უმჯობესი იქნებოდა ჩაიწეროს „აკრედიტაციის მინიჭების“ შესახებ, რაზეც საპასუხოდ დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ამ ჩანაწერს დამატებით გაივლის ცენტრის იურიდიულ სამსახურთან.

მომდევნო კითხვა დასვა მაკა აბულაძემ პირობით აკრედიტაციასთან დაკავშირებით თუ რატომ გაიზარდა და რას დაეფუძნა პირობითი აკრედიტაციის ვადა და ექნებათ თუ არა დაწესებულებებს შესაძლებლობა ვადაზე ადრე მიმართონ ცენტრს. ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ აკრედიტაციის ვადა 4 წლიდან გაიზარდა 7 წლამდე, პირობითი აკრედიტაციის ვადაც გაიზარდა, ეს არის დაახლოებით აკრედიტაციის ვადის შუა პერიოდი, იგივე პრინციპი იქნა დაცული ამ შემთხვევაშიც. პრაქტიკაში დაწესებულებას სჭირდება გარკვეული დრო, რომ პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში სრულ შესაბამისობამდე აიყვანოს პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტთან. პრაქტიკიდან გამომდინარე იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა 2 წელი არ იყო საკმარისი, პანდემიამ კი ეს საკითხი მეტად გააღრმავა, რაც იყო სწორედ ცვლილების მიზეზი. რაც შეეხება ვადაზე ადრე შემოტანას, როგორც ადრე, ასევე ამ ცვლილებების შემდეგაც დაწესებულებებს დროზე ადრე შეუძლიათ ცენტრს მომართონ აკრედიტაციის მინიჭების მიზნით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების რისკი დაწესებულებაზეა და მას ხელმეორედ ვეღარ მიენიჭება პირობითი აკრედიტაცია და არასაკმარისი დასაბუთების შემთხვევაში დადგება უარყოფითი გადაწყვეტილება. ცენტრის დირექტორმა დაამატა, რომ გადაწყვეტილებების დროს გათვალისწინებულ იქნა როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი პრაქტიკა. საბოლოო ჯამში ეს არის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული გადაწყვეტილება.

საბჭოს სხდომის ბოლო ეტაპზე წარმართა ხმის მიცემის პროცედურა.

საკოორდინაციო საბჭოს დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გავრცელების სფეროს დოკუმენტის წარმოდგენილი პროექტის მიღებას.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 9

მოწინააღმდეგე: 0.

საკოორდინაციო საბჭოს დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების პროექტის მიღებას.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 9

მოწინააღმდეგე: 0.

**საბჭოს თავმჯდომარე:**

რუსუდან სანაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარე

**სხდომის მდივანი:**

მაკა აბულაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის წარმომადგენელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი; სტუდენტი ექსპერტი.

**დანართი: 2 პრეზენტაცია:**

1. პრეზენტაცია: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გავრცელების სფერო-გიორგი გვასალია, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი;
2. პრეზენტაცია: განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების პროექტი-ლაშა მარგიშვილი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;